ხელშეკრულება 01-08-15/748-2023-2

ქ.თბილისი,

26 ივლისი, 2023 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, **სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** წარმოდგენილი მისი **რექტორის დავით გურგენიძის** სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორე მხრივ **შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“** (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი **HR და H&S დირექტორის ეკატერინე ვაშაკიძის** სახით, (შემდგომში ერთად მოხსენიებული როგორც „მხარეები“),

ვდებ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ, რომ „შემსრულებელთან“ წინასწარი შეთანხმებით და ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში, „დამკვეთის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის - „საწარმოო პრაქტიკა“ (ჯამში 45 საათი) განხორციელების მიზნით, „შემსრულებელი“ უზრუნველყოფს დამკვეთის სტუდენტებისთვის (პრაქტიკანტი/სტუდენტი) პრაქტიკის გატარებას.

2. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პირობები

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში და მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული პირობებით, პრაქტიკანტები/სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას (პრაქტიკულ სწავლებას) „შემსრულებლის“ ობიექტზე გაივლიან 15 კვირის განმავლობაში.

2.2. „დამკვეთის“ მხრიდან ერთდროულად (ერთ ჯერზე) მოხდება არაუმეტეს 10 (ათი) სტუდენტის გაგზავნა „შემსრულებელთან“ პრაქტიკის გავლის მიზნით.

2.3. პრაქტიკანტთა/სტუდენტთა კონკრეტული რაოდენობა და პრაქტიკული სწავლების განხორციელების სხვა პირობები წინასწარ თანხმდება მხარეთა შორის.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. „დამკვეთი“ ვალდებულია:

ა) დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება;

ბ) „შემსრულებელს“ წინასწარ გაუგზავნოს ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად წერილობითი თხოვნა პრაქტიკული სწავლების დაწყების საკითხზე. წერილობითი მიმართვა უნდა მოიცავდეს: პრაქტიკული სწავლების დაწყების და დასრულების სასურველ თარიღებს საათების მითითებით, პრაქტიკანტის/სტუდენტის სახელს, გვარს, პირად ნომერს და ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ სხვა საჭირო ინფორმაციას. მოთხოვნა „შემსრულებელს“ უნდა მიეწოდოს სამუშაო დღეებში - ელ-ფოსტის, კურიერის ან ფაქსის საშუალებით, პრაქტიკული სწავლების დაწყების თარიღამდე არაუგვიანეს 15 სამუშაო დღით ადრე;

გ) პრაქტიკანტის/სტუდენტის პრაქტიკების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით გამოყოს პასუხისმგებელი პირი;

დ) პრაქტიკაზე მივლენილი პირებისთვის უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყოფა (საჭიროების შემთხვევაში);

ე) იკისროს პასუხისმგებლობა პრაქტიკანტის/სტუდენტის მხრიდან „შემსრულებლის“ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის ექსპლუატაციის პირობების დარღვევით „შემსრულებლისთვის“ მიყენებულ ზიანზე;

ვ) შემსრულებლის მიმართვის შემთხვევაში, უზრუნველყოს შემსრულებლის ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება სტუდენტთა შორის, აღრიცხოს ვაკანსიის დაინტერესებულ პირთა შესახებ ინფორმაცია და მიაწოდოს „შემსრულებელს“, ხელი შეუწყოს შემსრულებელს შესაბამისი ადამიანური რესურსის მოძიებაში.

3.2. „შემსრულებელი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად, შეთანხმებული რაოდენობის პრაქტიკანტების/სტუდენტების პრაქტიკული სწავლება საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით;

ბ) პრაქტიკის გავლისას უზრუნველყოს პრაქტიკანტების/სტუდენტების უსაფრთხოება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად;

გ) პრაქტიკანტებს/სტუდენტებს გააცნოს ობიექტის შინაგანაწესი და უსაფრთხოების დაცვის წესები;

დ) პრაქტიკის პერიოდში გამოყოს პასუხისმგებელი პირი (მენტორი);

ე) პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ პრაქტიკანტზე/სტუდენტზე გასცეს „დამკვეთის“ მიერ მიწოდებული ფორმის შესაბამისი, ბეჭდით დამოწმებული დასკვნა-დახასიათება.

3.3. მხარეები პასუხისმგებელნი არიან პრაქტიკანტების/სტუდენტების მიერ პრაქტიკული სწავლების უსაფრთხო გარემოში გავლის საკითხებზე.

3.4. ყოველგვარი ბუნდოვანების გამოსარიცხად, ხელშკრულებით დადგენილი ვალდებულებები არ გულისხმობს „შემსრულებლის“ ვალდებულებას პრაქტიკანტების/სტუდენტების შემდგომ დასაქმებასთან დაკავშირებით. თუმცა, „შემსრულებელი“ უფლებამოსილია პრაქტიკული კურსის დასრულების შემდგომ ნებისმიერ დროს გაუკეთოს სტუდენტს დასაქმების შეთავაზება.

3.5. „შემსრულებელი“ უფლებამოსილია მოთხოვოს დამკვეთსა და პრაქტიკანტებს/სტუდენტებს (ხოლო ეს უკანასკნელნი თავი მხრივ იღებენ ვალდებულებას) ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

4. ფორს-მაჟორი

4.1. თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთალიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობიდან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

4.2. დაუძლეველ ძალად მიიჩნება ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:

4.2.1. ხანძარი და აფეთქება, წყალდიდობა, სტქიური უბედურება;

4.2.2. სამხედრო მოქმედება, აჯანყება, სამოქალაქო ომი;

4.3. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

5. მომსახურების საფასური

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლება „შემსრულებლის“ მიერ ხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 1 წლის ვადით. თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არცერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის შესახებ, ხელშეკრულება გაგრძელებულად ჩაითვლება იმავე ვადით და პირობებით. აღნიშნული პირობა მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის ყოველი ამოწურვისას.

6.2. ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) დამკვეთის ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში;

ბ) მხარეთა შეთანხმებით;

გ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისთვის არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გზით;

დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში და დადგენილი წესის შესაბამისად.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

7.2. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

7.3. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.

7.4. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის წარმოშობილი დავის და უთანხმოების მოგვარება შეუძლებელია მოლაპარაკების გზით, მისი გადაწყვეტა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად, თითოეულ მხარესთან ინახება თითო ეგზემპლარი.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ს.კ. 230866435 მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N21 **HR და H&S დირექტორი:** **ეკატერინე ვაშაკიძე**	**სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“** ს.კ. 211349192 მისამართი: ქ.თბილისი, 0160, კოსტავას ქ.№77 **რექტორი:** **დავით გურგენიძე** .....